23 7
F550 w/7718

სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1992
შაბათი
1
აგვისტო
№ 19 (10550)
ფასი 1 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

## ჩვენი ხსნა მხოლოდ სტაბილიზაციაშია

## გამგეობის სხდომაზე

ამ დღეებში გამართა ქალაქისა და რაიონის გამგეობას სხდომა, სადაც მოსმენილ იქნა საკითხი ზუგდიდში სალაროთა ბრუნვის პროგნოზულ გაანგარიშებათა შესახებ. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ქალაქისა და რაიონის გამგეობის ეკონომიკის განყოფილების გამგე რ. ცაავა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს რაიკოოპკავშირის თავმჯდომარემ ლ. ქირიამ, ზუგდიდვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ თ. ბიჭიამ, საიჯარო ფირმა „მეტყევეს" დირექტორმა მ. ჯოლოგუამ, ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა მ. რაფავამ და სხვებმა.

სავაჭრო ორგანიზაციებში შექმნილ მძიმე კრიზისულ მდგომარეობას სათანადო შეფასება მისცეს გამგეობის წევრებმა ვ. ყუფუნიამ, უ. შელიამ და დ. ანთიამ.

* * *

რეგიონში ფულის მიმოქცევის მდგომარეობა, ისევე როგორც ეკონომიკის სხვა სფეროში, ხასიათდებოდა ძირითადი მაჩვენებლების მკვეთრად გაუარესებით— აღინიშნა სხდომაზე.

მოსახლეობის ფულად შემოსავლებსა და გასავალს შორის დისპროპორციის გაღრმავებამ გამოიწვია ის, რომ ნაღდ ფულზე დაკმაყოფილება ხდებოდა ემისიის ხარჯზე. მარტო გასულ წელს მიმოქცევაში გაშვებული ფულის ნიშნები ორჯერ აღემატება წინა წლის მონაცემებს. ასეთ პირობებში გაუცემელი დარჩა საკმაოდ მოზრდილი თანხა.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ფულის მიმოქცევის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

ზუგდიდში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააყენა მთლიანად ზუგდიდის რეგიონი. პირველი ივლისისათვის გაუცემელი თანხის ოდენობამ 108 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

არასრული მონაცემებით საცალო საქონელბრუნვა ფაქტიურ ფასებში შემცირდა 80 პროცენტით, შესადარ ფასებში 95-96 პროცენტით, ანალოგიური მდგომარეობაა მოსახლეობის ფასიან მომსახურებაში.

მიმდინარე წლის ექვს თვეში ნავაჭრმა თანხამ ვაჭრობის სამმართველოში (უფროსი ტ. დიდიშვილი) შეადგინა მხოლოდ 19,2 მილიონი მანეთი. რაიკოოპკავშირის ხაზით (თავმჯდომარე ლ. ქირია) 12 მილიონი მანეთი. ძალზე დაბალია დანარჩენი ორგანიზაციების ხვედრითი წილი. ამასთან ყველა ორგანიზაციას თუ ცალკეულ მაღაზიას აქვს უმნიშვნელო შენატანები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ან საერთოდ არა აქვს ნაღდი ფულის შემოსავლები ვაჭრობიდან. ნაღდი ფულის შემოსავლების ასეთი შემცირება გამოწვეულია იმით, რომ მათ უმნიშვნელო რაოდენობით შემოაქვთ სახალხო მოხმარების საქონელი. ფაქტიურად გატაცებული და განადგურებულია არსებული საქონლის ნაშთების 30-32 პროცენტი. ამასთან ხშირია ინკასაციის დარღვევის ფაქტები. რაც მთავარია რითმულად არ მუშაობს სავაჭრო ობიექტების თითქმის 70 პროცენტი. სრულ უმოქმედობას იჩენენ საზოგადოებრივი კვების ობიექტები.

საგრძნობლად დაბალია შემოსავლები სამგზავრო ტრანსპორტიდან. მან სულ 0,9 მილიონი მანეთი შეადგინა.

ტრესტ „ზუგდიდგაზში" (უფროსი ლ. ჭანია) უხეშად ირღვევა სავაჭრო დისციპლინა. ექვს თვეში სალაროში შემოვიდა 869,5 ათასი მანეთი. აქედან ადგილზეა გახარჯული 245 ათასი მანეთი. ხოლო ივნისის თვეში შემოტანილია 97,7 ათასი მანეთი. 11 მძღოლს კი 15 ივლისისათვის გაზის ბალონებით ნავაჭრი თანხიდან არაფერი ქონდათ შემოტანილი. ყოველივე ამან განაპირობა ემისიის ზრდა და დიდი შეფერხებები ნაღდი ფულის გაცემაში.

სხდომის მუშაობა შეაჯამა გამგეობის თავმჯდომარემ ო. ფაცაციამ. დღევანდელი მძიმე ეკონომიკური კრიზისის დროს,— თქვა მან, — როცა დღითი დღე მცირდება ნავაჭრი თანხების შეტანა სახელმწიფო ბანკში, როცა თვეობით ფერხდება ხელფასების გაცემა მუშა-მოსამსახურეებზე, მეჩაიეებზე და ისედაც უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ, სოციალურად დაუცველ პენსიონერებზე, ასეთ დროს სავაჭრო მაღაზიებისა და კვების ობიექტების, მომსახურების სფეროს, „ზუგდიდგაზისა" და ტრანსპორტის უმოქმედობა საქვეყნო საქმის ღალატის ტოლფასია.

დღეს როდესაც მოსახლეობა შიმშილის ზღვარამდეა მისული, მშრომელთათვის გამოყოფილი ყოველი კილოგრამი პროდუქტი, ეს იქნება შაქარი თუ კარაქი, პურის ფქვილი თუ ბურღულეული უნდა მიიღოს მომხმარებელმა. არა და არის ფაქტები, რომ შემოტანილი შაქარი ვერ მიიღო ქალაქის მოსახლეობამ იმ ოდენობით, როგორც ეს იყო გათვალისწინებული. ეს გარემოება ყურად უნდა იღოს ქალაქის ვაჭრობის სამმართველომ და მისმა ხელმძღვანელობამ, რათა უახლოეს დროში გასცეს მოსახლეობას ის, რაც დააკლეს.

დღეს არავინ არის და არც შეიძლება იყოს საქმიანი გარიგების, ბიზნესის წინააღმდეგი. მაგრამ ამ გაჭირვების ჟამს ვინც შეეცდება ხელის მოთბობას, მოსახლეობისათვის განკუთვნილ პროდუქტს ბითუმად გადასცემს კომერციულ მაღაზიებს, დანდობას და შეწყალებას არ უნდა ელოდეს.

სხდომამ განხილულ საკითხზე მიიღო დადგენილება. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები. მათ შესრულებაზე კონტროლი დაეკისრა გამგეობის ეკონომიკური სამსახურის მუშაკებს.

## შ ა ვ ი  მ დ ი ნ ა რ ე

არც თუ ისე შორეულ წარსულში სხვა არა ერთ ბუნების ნაბოძებ სიმდიდრესთან ერთად საქართველოს ეკოლოგიურად სუფთა, წყალუხვობითა და სიცოცხლისუნარიანობით გამორჩეული მდინარეები ჰქონდა... ასე მაგალითად, უფროსი თაობის წარმომადგენლებს კარგად ახსოვთ მდინარე ჩხოუშის პირვანდელი სახე და გულისტკივილით აღნიშნავენ: „იმდენად სუფთა იყო, დასალევადაც კი შეიძლებოდა მისი გამოყენება".

დრომ ბევრი კარგი რამ მისცა დავიწყებას და ჩვენ, ადამიანებს, რომლებიც ასე სასტიკად მოვექეცით გარემოს, ხსოვნის ნოსტალგიაღა დაგვიტოვა.

მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად მდინარე ჩხოუშის... ჯერ იყო და ბაზარი გაშენდა მის სანაპიროზე, რაც უთუოდ დიდი შეცდომა იყო, შემდეგ არა ერთი სამრეწველო მაღაზია...

წლების მანძილზე არაერთგვაროვანი ნარჩენები იყრებოდა მასში და ეს მაშინ, როცა არ ფუნქციონირებდა არავითარი გამწმენდი ნაგებობა. ეს წარსულში... დღევანდელობამ კი ამ კუთხით მართლაც და ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. დღითი-დღე ემატება ეკოლოგიურად ისედაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ მდინარის სანაპიროებს სამრეცხაოების, სხვა დასხვა ჯურის მაღაზიების, ბაზრობების რიცხვი. იქნებ იკითხოს ვინმემ ამ ობიექტების სიახლოვით მდინარეს რა უშავდებაო. წუთით დააკვირდით ჩხოუშის კალაპოტს და პასუხს ამ კითხვაზე უმალ იპოვით...

მილეული და ნირშეცვლილი, ჩვენი ადამიანების გულგრილობის მსხვერპლი გამხდარა იგი...

ცხოვრებისეული პრობლემებით დატვირთულები დავდივართ მის სანაპიროებზე და დროც არ გვრჩება მასზე საფიქრალი, ან თუ გვრჩება მეასე ხარისხოვანი გვგონია. ყველა დროში თანადროული, უმთავრესი —ეკოლოგიაა... დროც არ გვრჩება, თითქოს ჩვენივე არ იყოს, თითქოს ჩვენვე არ გვიბრუნდებოდეს ის წყალი, ჰაერი, ტყე, რომლებსაც ასე გულბოროტად ვექცევით... ნუთუ არ გვეუფლება სინდისის ქეჯნის გრძნობა, ბუნების თუ არა, საკუთარი თავის, მომავალი თაობების წინაშე... რას ვუტოვებთ მათ...

ჩხოუშიაში ყველაფერთან ერთად... ძროხებიც ბანაობენ, ადამიანები, საიდანღაც შორიდან, გაღმა ნაპირიდან გავყურებთ ყოველივეს, რა გაეწყობა, „ჩხოუშია". იქნებ ეს მდინარის ისტორიული სახელის გამართლებაა... ვინ იცის და მაინც, როდემდე ეს განუკითხაობა...

**მ. კვარაცხელია,**
**ზუგდიდის მწვანეთა მოძრაობის პრესცენტრის ხელმძღვანელი.**

## მტრობა და შუღლი მოვიცილოთ

აქაური ვარ სისხლით და აქაური ვარ ხორცით... ჩემი ზუგდიდი ჰაერივით სასურველია ჩემთვის, და რა მდგომარეობაშია იგი დღეს?... ნუთუ ეს „ძველის" დაუნდობელი ნგრევაა, მაგრამ სად არიან „ახლის" მშენებლები?!.

არა, ბატონებო, ეს ნგრევა ჩვენი სულმოკლეობის შედეგია და ამას თვითონ მივხვდებით, მაგრამ მაშინ უკვე გვიან იქნება.

უნდა ვეცადოთ „იზმებისგან" გავთავისუფლდეთ და შვებას მხოლოდ მაშინ ვიგრძნობთ... სხვა ალტერნატივა არ არსებობს. მიმოიხედეთ ირგვლივ, განადგურებულ ქალაქებსა და სოფლებს, გაუბედურებულ ოჯახებსა და ადამიანებს იმდენს ნახავთ, თუ შეგრჩათ სინანულის გრძნობა, გულის ძარღვი ჩაგწყდებათ, თვალები ცრემლებით აგევსებათ...

გარდაუვალი საქმე უთუოდ აღსრულდება, მაგრამ, ჩვენ, ხალხმა უბედურებას კი არ უნდა შევუწყოთ ხელი, არამედ სიკეთე ვთესოთ, მტრობა და შუღლი მოვიცილოთ და ღმერთიც ჩვენს მხარეს იქნება და კაციც. არადა, მართლაც ხომ შეგვიძლია ბედნიერად ცხოვრება.

დიახ, შეგვიძლია და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული!

გურამ ვეკუა,
პედაგოგი.

ლამზირა ფირცხალავა

# ს ა მ ე გ რ ე ლ ო

ღრუბელს ლაწვზე ცრემლი
დასდის,
ეტირება მგონია,
ეს რა ხშირად გახსენებენ,
(რა ქვეყანა მქონია!)
ახლა მიხვდა გამყიდველი
ეშმას კაპფონიას!
ვაი, სულო ჩაწიხლულო,
როგორ უძლებ ფორიაქს,
ეს რა ხშირად გახსენებენ
რა ქვეყანა მქონია!..
უბე-უბე გამოზარდე
ერთგულიც და ორგულიც,
სიმი წყდება...
სიმი გლოვობს...

გოდებს... ტირის ჩონგური!..
ვაი, ნანა... ხიძულვილი
ტყე-ტყე ეძებს გოლიათს,
გაუხეთქეთ კლდეებს გული
ტყეს ადინეთ ბოლია!
რათა სადმე მოჰყვეს იგი,
ვისაც სული ჰქონია!!
მაგრამ ჩვენი სამეგრელო
თუთარჩელას ტოლია!..
ბოლმით კვდება ცოტნეს ლანდი,
ძმაზე ტირის ზოზია.
მანდ ტერენტის სული დადის
(ლექსის ანგელოზია!)
ფრთხილად, ტყვიას ნუ დაახლით,
ჩამოგცქერით უფალი,

სულზე ხუნდებს ვერ დაიდებს
რწმენა —თავის უფალი!
ვაი, ნანა...
ორგულები მიდიან და მოდიან,
მაგრამ ჩემი სამეგრელო
ორგულისა როდია!
ეს რა ხშირად გახსენებენ
(ყველგან ყალბი ნოტია!..)
ტოტს ნუ იჭრი, დალოცვილო!
ის ხომ შენი ტოტია!
ჭიშკარს ნულარ მიუხურავ
მოყვარეს და ცოდვიანს,
გაპატიებს სამეგრელო,
გულნამცეცა როდია!

# რ ე ქ ვ ი ე მ ი

ჰა, ესეც ბოლო სიზმარიც გაქრა
ზეცის მარადი სიშორის გამო.
უკვე არ ვიცი, რა გზას ვეწევი,
როდის მოვირგებ სიმშვიდის სამოსს.
დადნა თოვლი და სულიც აივსო
შიშველ რტოების ქახან—ქახანით.
სად ჩათავდება ეშმას ბილიკი!
სად არის ჩვენი ბოლო ბაქანი?!
იქნებ ვილაცას სჭირდები ჭერაც,
იქნებ მწუხრიდან ვინმეს მოელი...
ისევ წამებით იწვის სანთელი,
იწვის სანთელი—სული ცხოველი!
იქნება ესეც დასასრულია—
განაჩენია იქნება ბედის.
რომ მოვათრიე სული ჩრდილიდან,
რომ მივაღწიე შენამდე დღემდის?!
როგორ მოხდა, რომ ბგერაც გათავდა,
გულს მოეფონა ნისლის ფოფინი.
როგორ მოხდა, რომ დღემდის ვიყავი
სასურველიც და უარყოფილიც?!
ჰა, ესეც ბოლო სიზმარიც გაქრა
ზეცის მარადი სიშორის გამო.
უკვე არ ვიცი, რა გზას ვეწევი,
როდის მოვირგებ სიმშვიდის სამოსს!

## ჩვენს შემდეგ

ვითარცა ბგერა—უთქმელობით
გამოგუდული,
ვითარცა სხივი—
მიმწუხრიდან გამოქცეული,
მიდის ვილაცა მწირის გზაზე,
სადაც ოდესღაც ცხოვრობდა
თურმე...
ადამიანი!
ო! ღმერთო ჩემო! რა იყო იგი—
ცოდვის ტვირთი?!
საკუთარ ტყავში გამომხრჩვალი
ლოცვის ღრიალი?!
რამ მიიყვანა დასასრულთან
მოთმენა მიწის?..

## სიყვარულისადმი

საიდან ისმის ეს ყრუ გალობა—
ეს ყრუ ქვითინი ჩემს საუფლოში
საიდან აღწევს?
მიქანაობენ ნისლის გედები...
ვაი, რამხელა ცოდვები გაწევს!
რა ბედენაა ლოცვა ბალახის—
ცა არ მიიღებს დაჭეგილ ფერებს.
გახდები ალბათ ჩემი მორჩილი
როცა გვიანი იქნება მერე...
როცა მოდგება ჟამი შეცნობის,
როს ყველა სიტყვას გაუვა ძალა,
დღეს კი ნატყვიარ სხეულს
მიათრევ
და ტყვიას სადღაც, ძვლებს
შორის მალავ,
დღეს შიშით ეძებ პირველ
შემცოდეს—
ქარში უწყალოდ დაფლეთილ
ბგერას,
დღეს რაღაც გახრჩობს ობლის
ცრემლივით,
რაღაც უცნობი ტკივილის გჭერა.
...წუხს სიყვარული მოთმენის
გზაზე
(რა ბედენაა ლოცვა ბალახის!).
წავიდა იგი.
ნათლის სვეტს აჰყვა,
ყველამ ესროლა თითო ტალახი...

## კეპლუჯბისადმი

ფრთხილად!
აქ ნუ მოხვალთ, პეპლებო!
აქ შეშლილ ტყვიებს ისვრიან.
ეს ძმისგან მოკლული ქართველის
ყვავილზე მიმხმარი სისხლია.
ცოდვა ათასწლეულს გადასწონის,
ისმის ეშმას კვერთხის კაკანი.
ქორწილი არ ქორწილობს რა
ხანია,
ღიღინით არ ითლება აკვანი.

ლექსი, რა ხანია, ჩამეწყერდა,
ფუნჯი გაეუბრა ფერებს.
იქნებ ესაა დასასრული
ფესვებთან მოცილების მერე.
ღმერთო! გაზაფხული ამიყვაე—
ყოვლის და ყველაფრის
დამთმენი.
ყველას მაგივრად მომკალი და
შენი გზით წაიყვანე ქართველი.

## ხ ვ ა ლ...

ბურუსის კედლებს ჩამოშლიან
დაღლილი ფრთები,
სადაც ქვამარილს მოთმენით
ვლოკავ...
ხვალ ჩათავდება მწუხრის
სიმღერა,
ხვალ მტრის მაგივრად
მოყვასი მომკლავს.
დღეს კი [illegible] კაბით
ვირთვები
(ვიცი, წარსულთან შეხვედრა

მელის),
ვილაც მახსენებს ბავშვობის
ზღაპარს,
ვილაც საოცრად შორი და მწველი.
და ქრება ასე ბოლო აკორდი
(მე ჩემს საკანში ქვამარილს
ვლოკავ),
ხვალ გამოიტანს ეშმა განაჩენს:
მტერი კი არა
მოყვასი მომკლავს.

# ძ ა ხ ი ლ ი

ტალღა სველ კლდეებს მიმახლის
ბგერა ყრუა და მუნჯი.
ჩემს მეციხოვნეს ვეძახი:
ჰეი! ეჰეი!
ქუჯი!
შურო, გაქრი და ჩანაცრდი,—

გალღვა მარცვალი ხორბლის!
სული დათქორა წუხილმა,
პურს მოსდებია ობი?!
და მეციხოვნეს ვეძახი—
ჩემს გამკითხავს და შემწეს.
ნეტაი სიზმრად მაქცია —

მთვარეს მკლავებზე ვეწვე.
მაღლა ცაა და ღმერთია,
დაბლით —გაცივდა ფუნჯი.
ჩემს მეციხოვნეს ვეძახი:
ჰეი! ეჰეი!
ქუჯი!!!

კრიმინალური ქრონიკა

# ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოდან შეგვატყობინეს

15 ივლისს შეიარაღებული პირები ყაჩაღურად თავს დაესხნენ სოფელ ურთაში მცხოვრებ თ. კორტავას და სახის არეში ესროლეს გადაჭრილი თოფიდან, რის შემდეგ გაიტაცეს ფული 25 ათასი მანეთი. თ. კორტავა მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოთავსებულია რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

* * *

15 ივლისს, გვიან ღამით, სოფელ შამგონაში მცხოვრებ თ. ფაიქიძის ოჯახზე თავდასხმა მოაწყვეს ბოროტმოქმედებმა, რომლებსაც ეცვათ გვარდიელის ფორმა. მოძალადეებმა თ. ფაიქიძეს მიადეს გახურებული უთო და ძალის გამოყენებით წაართვეს 300 ამერიკული დოლარი. 3000 მანეთი, ტელევიზორი „იუნოსტი" და მიიმალნენ.

* * *

24 ივლისს ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებულ იქნა ძებნილი პაატა ალექსანდრეს ძე ბაკარანძე, დაბადებული 1971 წელს, მარჯვენა სანაპიროს №36-ში მცხოვრები, სისხლის სამართლის პასუხისგებაში ნამყოფი, რომელიც გაიქცა №9 საგამომძიებლო იზოლატორიდან.

* * *

26 ივლისს დაახლოებით 22 საათსა და 30 წუთზე ქ. ზუგდიდის ცოტნე დადიანის ქუჩაზე მდებარე ცხრა სართულიან სახლთან დაუდგენელი შეიარაღებული ბოროტმოქმედთა ჯგუფი თავს დაესხა კ. არახამიას, ჯ. ხურცილავას, რ. ფიფიას და აუტეხა სროლა, რის შედეგად არახამია და ხურცილავა ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო რ. ფიფია მოთავსებულია საავადმყოფოში.

* * *

26 ივლისს გაზკანტორის მიმდებარე ტერიტორიაზე უნომრო სატვირთო ავტომანქანით დაკავებულ იქნა ორი საეჭვო პიროვნება, რომელთაგან ერთს—გ. კვარაცხელიას ჩხრეკვისას აღმოაჩნდა ქარხნული წესით დამზადებული ხელყუმბარა.

* * *

ასევე დაკავებულ იქნა ქ. ზუგდიდის კრუპსკაიას №13—ში მცხოვრები ადრე პასუხისგებაში ნამყოფი, 1958 წელს დაბადებული ალექსანდრე ვლასოვი, რომელმაც 1992 წლის მაისს სხვა ბოროტმოქმედთან ერთად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, გაქურდა ცეკავშირის ბაზა.

წიგნის თაროს შეემატა

# საინტერესო გამოცემა

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს ვახუშტი ბაგრატიონს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართველი ხალხის წინაშე. ის არა მარტო ბრწყინვალე ისტორიკოსი, არამედ დიდი კარტოგრაფიც იყო. მას ეკუთვნის საქართველოს და მისი მომიჯნავე მხარეების ორი ქართულ ენაზე და ერთიც რუსულ ენაზე შედგენილი რუკათა ატლასი. ეს ატლასები ფაქტობრივად საფუძვლად დაედო კავკასიის მეცნიერულ კარტოგრაფიას და მოკლე ხანში კარგად იყო ცნობილი დასავლეთ ევროპისა და რუსეთის წამყვანი მეცნიერებისათვის და მათთვის კავკასიის შესწავლის საქმეში პირველ წყაროს წარმოადგენდა.

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგმა" მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცა ვახუშტის რუკათა პირველი ატლასის ძირითადი რუკის ფოტოპირი, რომელზეც სახელოვან ქართველ მეცნიერს სრულიად საქართველო და მისი მეზობელი ქვეყნები აქვს გამოხაზული.

ყოველივე ამის შესახებ უფრო ვრცლად აცნობს მკითხველს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორების: თამაზ ბერაძისა და ილია ანთელავას წერილი, რომელიც დაბეჭდილია გაზეთ „მამულში".

ჯ. თელია.

ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს ფიზიკის კათედრის პროფესორის (1,0 საშტატო ერთეული) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ კადრების განყოფილებაში რექტორის სახელზე. განცხადების შემოტანის ვადაა 10 დღე კონკურსის გამოცხადებიდან.

მისამართი: ზუგდიდი, თეატრის ქ. №5.

ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის რექტორატი.

სარედაქციო კოლეგია

მეუღლე ლიანა ახალაია, შვილები მედეა და თეიმურაზი, და ციალა, ძმისშვილები: თამუნა და ირაკლი, დისშვილები: ბექანა და ზურაბი ხაბურზანიები, რძალი დოდო კვარაცხელია, სიძე მიტუშა ხაბურზანია, ცოლისძმა იგორ ახალაია, ცოლისდები: ტატიანა, სულიკო, ნაირა და ვალიდა ახალაიები, მამიდები: ნადე, ტონია და ძაბია, ბიძები: ლათიკო და მუცა დანელიები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ჯანსი ტრიფონის ძე დანელიას**

გარდაცვალებას დაკრძალვა 1 აგვისტოს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, ძნელაძის ქ. 25-დან.

თბილისის ქ. №2-ში მცხოვრები მეზობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვალერი იოსების ძე გოგოხია**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ 56 ტელეფონები: რედაქტორის 2 24·80, რედაქტორის მოადგილის 2 33 69. პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერილების 2·25 12, რადიორედაქციის 2 47 00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-28-07. ტირაჟი 2000. შეკ. №205